საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო საჯარო
სამართლის იურიდიული პირი
დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაცული ტერიტორიების სააგენტო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION OF GEORGIA
LEGAL ENTITY UNDER PUBLIC LAW
AGENCY OF PROTECTED AREAS

KA060287441006314

გ.გულუას ქ. N6 0114 თბილისი / საქართველო ტელ + 99 5 32 275 23 53 / ფაქსი + 99 5 32 275 23 53 ელ. ფოსტა INFO . APA. GOV. GE
6 GULUA STREET / TBILISI / GEORGIA 0114 TEL +99 5 32 275 23 53 / FAX + 99 5 32 275 23 53 E.MAIL INFO . APA . GOV . GE

N2164

23 / სექტემბერი / 2014 წ.

ააიპ ,,საქართველოს რეფორმების
ასოციაციის"(GRASS) დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი მიმდინარე წლის 17 სექტემბრის #630 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ, ინფორმაციას ,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტურქტურა" სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესახებ:

- ·,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტურქტურა" სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები დაიწყო 2012 წელს. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2013 წლის 19 ივნისამდე, ხოლო ,,ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა შემსწავლელი სამთავრობო კომისიის" რეკომენდაციით აღნიშნული ვადა გაგრძელდა 2014 წლის 1 ივნისამდე.
- · აღნიშნული პროექტის დაფინანსების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2012 წელს გამოიყო 4,000,000 ლარი, 2013 წელს 1,000,000 ლარი (2013 წელს აღნიშნული თანხა არ იქნა გახარჯული), ხოლო 2014 წელს 1,000,000 ლარი, სულ შესაბამისად 5,000,000 ლარი. აქედან 4,850,000 ლარი გათვალისწინებული იყო სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, ხოლო 150,000 ლარი სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსების მიზნით.
- ·აღნიშნული სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2012 წლის 5 ივნისს, ხოლო წინადადებების მიღება დასრულდა 2012 წლის 4 ივლისს. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ზიმო"
- · ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა მიმდინარე წლის ივლისის თვეში.
- · აღნიშნულ ობიექტზე დასაქმდება 13 ადამიანი.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ი. ქოცირიძე ილია გოცირიძე